

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

შპს "ბესიკ ნიპარიშვილი"-მრავალპროფილიანი სკოლა გიმნაზიის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების მონიტორინგის შესახებ

ექსპერტთა ჯგუფის წევრები
თავმჯდომარე:
ქეთევან ბოტკოველი -ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი.
წევრ(ებ)ი:
ნიკა უთალიშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი.

ნაწილი I. შესავალი

<u>ადმინისტრაციული წარმოების სახე (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა):</u>

☐ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დამატება

☐ მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდა

☐ იმავე მუნიციპალიტეტში ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მისამართის/ფართის ცვლილება

☒ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმება

☐ **გეგმიური**

☒ **არაგეგმიური**

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	შპს "ზესიკ ნიპარიშვილი"-მრავალპროფილიანი სკოლა გიმნაზია
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	ს/კ :232539269

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	კასპი, საკაძის ქ. N126
ფაქტობრივი მისამართი	კასპი, საკაძის ქ. N126
საფოსტო ინდექსი	2600
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	https://www.skolagimnazia.ge/
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	gimnaziakaspi@gmail.com
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი (არსებობის შემთხვევაში)	599 365133

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

წარმოების საფუძველი (ბრძანების ნომერი და თარიღი)	MES 4 26 0000332021, 19.03.2026
ვიზიტის თარიღი (არსებობის შემთხვევაში)	2026 წლის 20 მარტი

VI. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა და დასკვნის პროექტი

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2026 წლის 19 მარტის № MES 4 26 0000332021 ბრძანების საფუძველზე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს, რომლის შემადგენლობაში შედიოდნენ: თავმჯდომარე ქეთევან ბოტკოველი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი) და წევრი ნიკა უთალიშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი), დაევალა, საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროდან, ცენტრში შემოსულ № N244173 კორესპონდენციაში ასახული გარემოებების შესწავლა, გადამოწმება და მოქმედი დებულების მე-5 მუხლით განსაზღვრულ სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენა.

აღნიშნული მიზნის უზრუნველსაყოფად, 2026 წლის 20 მარტს განხორციელდა არაგეგმიური მონიტორინგის ვიზიტი შპს - ბესიკ ნიპარიშვილი“ მრავალპროფილიან სკოლა-გიმნაზიაში (ს/კ: 232539269, ქ. კასპი).

ვიზიტის ფარგლებში, სკოლის დირექტორს ადგილზე გადაეცა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის შესაბამისი ბრძანება და გაეცნო მიმდინარე საქმის გარემოებები. მონიტორინგის პროცესი წარიმართა თანამშრომლობით, კონსტრუქციული და ღია კომუნიკაციის გარემოში.

მონიტორინგის საფუძველი

მონიტორინგის განხორციელებას საფუძვლად დაედო ქალაქ კასპის საგანმანათლებლო რესურსცენტრიდან შემოსული წერილი, რომლის თანახმად რესურსცენტრმა მიიღო ანონიმური შეტყობინება შპს „ბესიკ ნიპარიშვილი” მრავალპროფილიან სკოლა-გიმნაზიაში არსებული ვითარების შესახებ.

წერილში აღნიშნულია, რომ სკოლაში იკვეთება მოსწავლეთა შორის ბულინგის პრობლემა, აღინიშნება ძალადობისა და აგრესიის ნიშნები, რაც საფრთხეს უქმნის არასრულწლოვანთა უფლებების დაცვასა და მათ უპირატეს ინტერესს - მიიღონ განათლება უსაფრთხო და ჯანსაღ სასწავლო გარემოში. ამავე წერილში ხაზგასმულია, რომ რადგან ქალაქ კასპის საგანმანათლებლო რესურსცენტრი, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, ვერ ახორციელებს კერძო სკოლის გარემოსა და სასწავლო პროცესის მონიტორინგს, მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული ინფორმაციის საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთვის მიწოდება შემდგომი რეაგირების უზრუნველსაყოფად. თავის მხრივ, საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრომ აღნიშნული კორესპონდენცია გააგზავნა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში საკითხის განხილვისა და შესაბამისი რეაგირების მიზნით.

აღნიშნულის საფუძველზე, ცენტრმა დამატებითი ინფორმაციის მოძიებისა და მონიტორინგის სრულყოფილად განხორციელების მიზნით მიმართა ქალაქ კასპის საგანმანათლებლო რესურსცენტრს და მოითხოვა ფაქტების დაკონკრეტება, მათ შორის: კონკრეტული კლასის/საფეხურის მითითება, არსებული მტკიცებულებების წარმოდგენა და ვითარების დეტალური აღწერა განსაზღვრულ ვადაში.

რესურსცენტრის მიერ მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით დადგინდა, რომ შეტყობინება განხორციელდა ანონიმურად, სატელეფონო ზარის საშუალებით, რის გამოც ვერ მოხერხდა დამატებითი დეტალებისა და მტკიცებულებების წარდგენა.

საქმის გარემოებების გათვალისწინებით, ექსპერტთა ჯგუფმა ადგილზე განხორციელებული მონიტორინგის, წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზის სკოლის დირექტორთან, დირექტორის მოადგილესთან, კლასის დამრიგებელთან, მშობლებთან, მოსწავლეებთან და ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერთან გასაუბრებების საფუძველზე **დაადგინა შემდეგი:**

ვითარების აღწერა

თებერვლის შუა რიცხვებში სკოლაში გამოვლინდა ბულინგის შემთხვევა VI კლასის მოსწავლეებს შორის. 2026 წლის 16 თებერვალს VI ა კლასის მოსწავლის (გ.ბ.) მშობელმა სატელეფონო კომუნიკაციის საშუალებით აცნობა სკოლას, რომ მისი შვილი განიცდიდა აგრესიულ მოპყრობას VI ბ კლასის რამდენიმე მოსწავლის მხრიდან.

დადგინდა, რომ 2026 წლის 17 თებერვალს აღნიშნული ინფორმაცია კლასის დამრიგებელმა მიაწოდა სკოლის დირექტორს. იმავე დღეს გაიმართა მშობელთან გასაუბრება, ხოლო მომდევნო დღეს ჩატარდა მოსწავლეებთან ინდივიდუალური და ჯგუფური შეხვედრები.

მოკვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ VI ბ კლასის მოსწავლეები მონაწილეობდნენ სოციალურ პლატფორმაზე გავრცელებულ თამაშში, რომლის ფარგლებში წაგებულის„დასჯის“ მეთოდად გამოიყენებოდა ფიზიკური ზემოქმედება. აღნიშნულმა ქცევამ გამოიწვია ფიზიკური შეხების ფაქტები და გამოავლინა ბულინგისთვის დამახასიათებელი ნიშნები.

განხორციელებული დისციპლინური ღონისძიებები

დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ სკოლამ მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით, იმოქმედა მოქმედი კანონმდებლობისა და სკოლის შინაგანაწესის შესაბამისად. კერძოდ, შინაგანაწესის XV მუხლის მე-9 პუნქტის თანახმად, „მოსწავლე ვალდებულია იყოს თავაზიანი და ყურადღებიანი სხვათა მიმართ. ქცევა ან სიტყვიერი მიმართვა, რომელიც შეურაცხყოფს სხვათა ღირსებას და არღვევს პიროვნების ემოციურ ან ფიზიკურ მდგომარეობას, განიხილება დისციპლინურ გადაცდომად და ითვალისწინებს შესაბამის სახდელს“.

აღნიშნული ნორმის საფუძველზე, სკოლის დისციპლინური კომიტეტის 24 თებერვლის გადაწყვეტილებით, კონკრეტულ მოსწავლეებს გამოეცხადათ საყვედური პირად საქმეში ასახვით. აღნიშნული ღონისძიება ეფუძნება შინაგანაწესის XV მუხლის მე-15 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტს, რაც გულისხმობს მოსწავლისთვის საყვედურის გამოცხადებას შესაბამისი ადმინისტრაციული აქტის (ბრძანების) საფუძველზე. ასევე საკითხის კომპეტენტური შეფასებისა და პრევენციის მიზნით სკოლამ მიმართა **შსს კასპის რაიონულ განყოფილებას**.

მოსწავლეებთან გასაუბრება

ექსპერტთა მხრიდან მოსწავლეებთან გასაუბრების მიზნით სკოლამ უზრუნველყო მშობელთა ინფორმირებული თანხმობების მოპოვება. გასაუბრებების შედეგად დადგინდა, რომ მოსწავლეთა ნაწილი ადასტურებს ფიზიკური კონფლიქტისა და ძალის დემონსტრირების ფაქტებს, თუმცა აღნიშნულ ქცევას აღიქვამს როგორც „თამაშს“ და სრულად ვერ აცნობიერებს ბულინგის სერიოზულობასა და მის შესაძლო ფსიქოლოგიურ გავლენას თანაკლასელებზე.

ექსპერტთა შეფასებით, აღნიშნული მიუთითებს, რომ მოსწავლეებს უჭირთ „თამაშისა“ და ზიანის შემცველი ქცევის გამიჯვნა, რაც საჭიროებს ემოციური და ღირებულებითი განათლების კომპონენტის სისტემურ გაძლიერებას.

მშობლებთან კომუნიკაცია

მშობლებთან გასაუბრებების შედეგად დადგინდა, რომ მათი ნაწილი ეთანხმება სკოლის მიერ მიღებულ დისციპლინურ ზომებს და მიიჩნევს მათ მიზანშეწონილად.

რაც შეეხება მომჩივან მშობელს, მან არ ისურვა ექსპერტებთან შინაარსობრივი გასაუბრება, თუმცა დაადასტურა, რომ სკოლამ გაატარა შესაბამისი ღონისძიებები მისი შვილის ინტერესების დასაცავად. ასევე დადგინდა, რომ აღნიშნულმა მშობელმა შემდგომში მიიღო გადაწყვეტილება მოსწავლის სხვა სკოლაში გადაყვანის შესახებ.

მონიტორინგმა აჩვენა, რომ სკოლა აქტიურად თანამშრომლობს მშობლებთან, რაც გამოიხატება მშობელთა კრებების ორგანიზებასა და ანონიმური გამოკითხვების ჩატარებაში. ასევე გამოიკვეთა, რომ მშობელთა კომიტეტის ინიციატივით შემუშავდა რეკომენდაციები და განხორციელდა ერთობლივი აქტივობები.

პრევენციული ღონისძიებები

მოსწავლეთა ფსიქო-ემოციური კეთილდღეობის, თანამშრომლობითი და მეგობრული გარემოს ჩამოყალიბებისა და კონფლიქტების მშვიდობიანი გზით მოგვარების ხელშეწყობის მიზნით, სკოლამ განახორციელა მიზნობრივი და თანმიმდევრული ღონისძიებები.

კერძოდ, სკოლამ მოიწვია შესაბამისი სპეციალისტი, რომელმაც ჩაატარა ბულინგის პრევენციაზე ორიენტირებული აქტივობები. ასევე, ღირებულებითი განათლების გაკვეთილების ფარგლებში, სასულიერო პირის მონაწილეობით განხორციელდა შეხვედრები და

თემატური აქტივობები, რომლებშიც მოსწავლეები აქტიურად იყვნენ ჩართულნი, რაც ხელს უწყობდა კლასში ჯანსაღი და პოზიტიური ურთიერთობების ჩამოყალიბებას.
მონიტორინგის პროცესში ჩატარებული ინტერვიუები (ადმინისტრაციასთან, მასწავლებლებთან, მშობლებთან და მოსწავლეებთან) ადასტურებს, რომ განხორციელებულმა აქტივობებმა დადებითი გავლენა იქონია სასკოლო გარემოზე.
პარალელურად, სკოლა აქტიურად თანამშრომლობდა მშობლებთან, რაც მოიცავდა მშობელთა კრებებსა და ანონიმურ გამოკითხვებს სასკოლო გარემოს გაუმჯობესებისა და მშობელთა ჩართულობის ზრდის მიზნით. მშობელთა კომიტეტის ინიციატივით შემუშავდა რეკომენდაციები და სკოლასთან თანამშრომლობით განხორციელდა სხვადასხვა სახალისო-შემეცნებითი აქტივობა, მათ შორის: „შემოდგომის ფესტივალი“, რომელიც ემსახურებოდა საქართველოს კუთხეების გაცნობასა და მოსწავლეთა შესაძლებლობების წარმოჩენას; ბავშვთა დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებები და საქველმოქმედო აქცია, რამაც ხელი შეუწყო მოსწავლეთა დაახლოებასა და სასკოლო საზოგადოების გაძლიერებას.
ასევე განხორციელდა აქტივობა „მშობლის დრო“, რომლის ფარგლებშიც მშობლები მონაწილეობდნენ სასწავლო პროცესში – კითხულობდნენ წინასწარ შერჩეულ ტექსტებს და ერთობლივად განიხილავდნენ მათ მოსწავლეებთან.
გარდა ამისა, სკოლა აქტიურად უზრუნველყოფდა ფსიქოლოგის მომსახურებას როგორც კონკრეტულ კლასში, ისე ზოგადად მოსწავლეებთან, რაც გამოიხატა სხვადასხვა ინტერვენციასა და აქტივობაში და დადებითად აისახა მოსწავლეთა ურთიერთობებზე.
აღნიშნული ღონისძიებები ეტაპობრივად კვლავ გრძელდება, რაც დასტურდება წარმოდგენილი დოკუმენტაციითა და სასკოლო საზოგადოების წარმომადგენლებთან ჩატარებული გასაუბრებებით.

საერთო შეფასება და დასკვნა

მონიტორინგის შედეგების ანალიზის საფუძველზე დადგინდა, რომ სკოლა დროულად და ეფექტიანად რეაგირებს ბულინგის შემთხვევებზე და იყენებს როგორც დისციპლინურ, ისე პრევენციულ მექანიზმებს.
დადებითად გამოიკვეთა:

- ინციდენტზე ოპერატიული რეაგირება;
- მშობელთა ჩართულობის უზრუნველყოფა;
- ფსიქოლოგიური და საგანმანათლებლო ინტერვენციების განხორციელება;
- პრევენციული ღონისძიებების მრავალფეროვნება.

ამასთან, გამოიკვეთა, რომ მოსწავლეთა ნაწილის მხრიდან ბულინგის არსის არასრული გააზრება საჭიროებს დამატებით მუშაობას ღირებულებითი და ემოციური განათლების მიმართულებით. ასევე მეტი გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად სასურველია სკოლამ

შინაგანაწესში დაამატოს ახალი თავი დისციპლინური ზომების სტანდარტიზაციის შესახებ, რომელიც მოიცავს ყველა ტიპის დარღვევას, შესაბამის სასჯელებს და პროცედურებს, ასევე მითითებულ პასუხისმგებელ პირებს.

საბოლოო დასკვნის სახით, მონიტორინგის შედეგები ცხადყოფს, რომ სკოლაში ფუნქციონირებს უსაფრთხო და მხარდამჭერი საგანმანათლებლო გარემოს უზრუნველყოფაზე ორიენტირებული სისტემური და თანმიმდევრული მართვის პრაქტიკა, **რომელიც შესაბამისობაშია ავტორიზაციის მოქმედ სტანდარტებთან და არ იკვეთება მათი დარღვევის ფაქტები.** ამასთანავე, გარემოს ეფექტიანობისა და მდგრადობის შემდგომი განმტკიცების მიზნით, მიზანშეწონილია პრევენციული მექანიზმების გაღრმავება, მათი სისტემატური შეფასება და უწყვეტი გაუმჯობესება, რაც უზრუნველყოფს არსებული პრაქტიკის განვითარებას და რისკების მართვას.

თარიღი 14.04.2026

ავტორიზაციის ჯგუფის თავმჯდომარე -- ქეთევან ბოტკოველი

ავტორიზაციის ჯგუფის წევრი - ნიკა უთალიშვილი